პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 15 (2735) ● შაბათი, 23 იანვარი, 1965 წ. ● ფასი 2 კაპ.



სპორტული ოჯახი

საბჭოთა სპორტის ისტორიაში დიდების ბევრი ფურცელი ჩაწერეს ბორის დიაჩკოვმა და ნინო დუმბაძემ. მშობლების ამ საუცხოო ტრადიციას ახლა მათი ვაჟი — იური აგრძელებს. ამაში იოლად დარწმუნდებით, თუ მათს საოჯახო მუზეუმს ესტუმრებით. აქ, თაროებზე ინახება მამის, დედისა და შვილის სპორტული რელიქვიები — მედლები, სამახსოვრო პრიზები, თასები, სურები, — ყველაფერი, რასაც დიდ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებულთ ანიჭებენ...

ბორის მიხეილის ძე დიაჩკოვს 50 წლის სპორტული სტაჟი აქვს. ბავშვობისას მოჭიდავედ ყოფნა სურდა, მერე ტანვარჯიშმა გაიტაცა და მონდომებითაც იწრთობოდა, მაგრამ ნამდვილი მოწოდება მძლეოსნობაში ჰპოვა. იგი პირველად 40 წლის წინათ გამოვიდა საკავშირო ჩემპიონატში და სამხტომში პირველობაც დაისაკუთრა. ახალგაზრდა სპორტსმენი შემდეგ წლებში ახალ-ახალ სიმაღლეებს იპყრობდა რბენასა და თარჯრბენში, სიგრძეზე, სიმაღლესა და ჭოკით ხტომაში, ათჭიდში.

სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბ. დიაჩკოვი დიდი ხანია ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდის საქმეს ემსახურება. მის მრავალრიცხოვან მოსწავლეს შორის იყვნენ ე. გოკიელი, ლ. სანაძე, რ. შავლაყაძე, ნ. დუმბაძე და სხვები.

სპორტთან ნინო დუმბაძის მეგობრობა სკოლაში დაიწყო. თანატოლებს იგი მაშინვე ჯობდა ნიჩბოსნობაში, ველოსპორტში, სროლასა და მძლეოსნობაში. პირველი საკავშირო რეკორდი კი ადგილიდან ხტომაში დაამყარა, მაგრამ გულით ყველაზე მეტად ბადროს ტყორცნა შეიყვარა. ამ სახეობაში ნინო ძველ, გატკეპნილ გზას არ გაყოლია. ის ხვეწდა და სრულყოფდა მოძრაობას, შექმნა ტყორცნის თავისი ორიგინალური სქემა. უკვე 1937 წელს ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა — ბადრო 42.13 მეტრზე ტყორცნა.

შემდეგ მისი შედეგები თანდათან მაღლდებოდა და აი, 1939 წლის 18 სექტემბერს მსოფლიო რეკორდი ჩამოართვა გერმანელ გ. მაუერმაიერს. ამ დღეს მის მიერ მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე ნატყორცნი ბადრო 49,11 მეტრზე „გაფრინდა". მერე მსოფლიო რეკორდების ცხრილში დუმბაძის გვარის გასწვრივ გაჩნდა ციფრი 50,50 მ, მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა. მაგრამ ეს არ იყო ნინოს მიღწევათა ზღვარი. ბადრო უფრო შორს, შორს მიფრინავდა, მანამ, სანამ ფენომენალურ შედეგს — 57,04 მეტრს არ მიაღწია.

ახლა კი... ახლა დუმბაძეც მწვრთნელთა რიგებს შეუერთდა და მომავალ რეკორდსმენთა აღზრდას მიჰყო ხელი.

ოჯახური ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია მათი ვაჟი — იური. 16 წლისა იგი ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონი გახდა თარჯრბენსა და სიმაღლეზე ხტომაში. ამჟამად იური ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ათჭიდელია და მძლეოსნობის სამ სახეობაში აქვს სპორტის ოსტატის წოდება.

სურათებზე: ზევით — **დედა, მამა და შვილი სპორტული ნადავლის საოჯახო მუზეუმში,** ქვევით მარცხნივ — **ბ. დიაჩკოვი ავარჯიშებს ახალგაზრდა სპორტსმენებს:** მარჯვნივ — **ნ. დუმბაძე და იური მორიგ ვარჯიშზე.**

ფოტო გ. კიკვაძისა (საქდესი).

თასები, თასები...

● **სარაგოსა.** ესპანეთის კლუბი „სარაგოსა", რომელიც თავისი ქვეყნის ჩემპიონატში 11 ადგილზე იმყოფება, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში შეხვდა უელსის „კარდიფ-სიტის", რომელიც ინგლისის II საფეხბურთო ლიგაში თამაშობს.

უკვე მე-2 წუთზე ლაპეტრამ სტუმართა კარში პირველი ბურთი გაიტანა, ხოლო მე-12 წუთზე პაისმა ანგარიში გახადა 2:0 „სარაგოსას" სასარგებლოდ. უილიამსმა და კინგმა შესვენებამდე შეძლეს ორივე საპასუხო გოლის გატანა. მეორე ნახევარში ესპანელები გამუდმებით უტევდნენ, მაგრამ უელსელთა დაცვამ (სადაც გამოირჩეოდა 32 წლის ჯონ ჩარლზი) და მეკარე ვილსონმა ბრწყინვალედ ითამაშეს. ანგარიში უცვლელი დარჩა — 2:2. „სარაგოსას", რომელიც პრიზის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება, საპასუხო მატჩში მეტოქის მინდორზე გამარჯვება ალბათ გაუჭირდება.

● **მანჩესტერი.** აქ ჩატარდა ბაზრობათა თასის გათამაშების მერვედფინალური შეხვედრა ინგლისის გუნდებს — „მანჩესტერ-იუნაიტედსა" და „ევერტონს" შორის. ევერტონელთა ცენტრფორვარდმა პიკერინგმა გაიტანა პირველი გოლი, მაგრამ 20 წუთის შემდეგ მანჩესტერელმა კონელიმ (№ 7) გაქვითა ანგარიში. მეორე ნახევარში „მანჩესტერის" უპირატესობა გააბათილა ევერტონელთა მეკარე ვესტის შესანიშნავმა თამაშმა — 1:1.

● **სტრასბური.** საფრანგეთის კლუბის „სტრასბურგისა" და „ბარსელონას" (ესპანეთი) შეხვედრა ბაზრობათა თასის გათამაშებაში ფრედ დამთავრდა — 0:0.

(საქ. ინფ.).

[illegible] მოძმე რესპუბლიკებში

აზერბაიჯანი

ჯანმრთელობის სპარტაკიადა

შეჯამდა „ნეფტიანიკის" ცენტრალური საბჭოს ჯანმრთელობის დაუსწრებელი სპარტაკიადის შედეგები, რომლის პროგრამაში იყო შეჯიბრებები მაგიდის ჩოგბურთში, სპორტულ და საწარმოო ტანვარჯიშში, ტყვიით სროლაში, ჭადრაკში, შაშში და სხვა სახეობებში. სპარტაკიადა ჩატარდა ფიზკულტურის 264 კოლექტივსა და საზოგადოების 11 საქალაქო საბჭოში. შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო 54.400-მა კაცმა.

ჯანმრთელობის სპარტაკიადაში გაიმარჯვეს ნარიმანოვის რაისაბჭოს ფიზკულტურელებმა.

ბავშვებს — ორგანიზებული დასვენება!

მოსწავლეთა საზაფხულო დასვენებისთვის ძალიან იშვიათად იყენებენ სპორტულ მოედნებს, სტადიონებს, საწყლოსნო აუზებს. ამის გამო აზერბაიჯანის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, განათლების სამინისტროს კოლეგიამ, რესპუბლიკის სპორტკავშირმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება — „1965 წლისთვის ბავშვებისა და მოზარდებისთვის საზაფხულო სპორტული კურსების ორგანიზაციის შესახებ". ამ კურსებზე მეცადინეობა იწარმოებს სპორტის ყველა სახეობაში 25 მაისიდან 1 სექტემბრამდე. მისი მთავარი მიზანია ბავშვთა მიზიდვა სპორტში, მათი კულტურული და ნაყოფიერი დასვენების ორგანიზაცია. ასეთი კურსები შეიქმნება ყველა სპორტბაზასა და სპორტულ საზოგადოებაში.

კურსების დამთავრების შემდეგ მწვრთნელი მოსწავლეს უწერს ნიშანს სწავლასა და ყოფაქცევაში. ყოველი კურსდამთავრებული მიიღებს მკლავზე გასაკეთებელ სამახსოვრო ნიშანს, აგრეთვე სპორტსაზოგადოებისა და ბავშვთა სპორტული სკოლის სექციის საგზურს.

[illegible]

● **მონტე-კარლო, 21 იანვარი.** „მონტე-კარლოს რალიში" გაიმარჯვა ფინელმა ავტომობილისტმა, 24 წლის ტიმო მაკინენმა. ფინეთის დედაქალაქში მაკინენს ავტომანქანების თავისი სავაჭრო აქვს და შესანიშნავად იცის ყოველი ფირმის ავტომობილის „ზნე-ჩვეულებანი". ალპების მაღალმთიანეთის დათოვლილ გზებსა და უღელტეხილებზე სარბოლად ამჯერად მან აირჩია „ბმც-კუპერის" მცირელიტრაჟიანი მანქანა, რომელიც ძველი ნიმუშის „ზაპოროჟეცს" ჰგავს. მრბოლა არჩევანში არ მოტყუვდა და საუკეთესო შედეგიც აჩვენა მაშინ, როცა ძალიან ბევრმა მანქანამ ფინიშამდე საერთოდ ვერ მიაღწია. ქალთა შორის ყველას აჯობა პ. მოს-კარლსონმა (შვეცია).

● **ცეენვალდი (გდრ), 21 იანვარი.** აქ გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ბიატლონისტთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც ყველას აჯობა ცნობილმა საბჭოთა სპორტსმენმა ვ. მელანინმა — 1:21.12. მომდევნო ადგილებზეც სტუმრები აღმოჩნდნენ: ა. პრივალოვი და ნ. პუზანოვი.

[illegible]

◆ *ბევერვეიკი, 22 იანვარი.* *საჭადრაკო ფესტივალის მთავარ ტურნირში 13 ტურის შემდეგ კვლავინდებურად ლიდერობს უნგრელი დიდოსტატი ლ. პორტიში, რომელმაც მოაგროვა 9 ქულა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია წინა, XII ტურში მისმა შეხვედრამ საბჭოთა დიდოსტატთან ე. გელერთან. საინტერესო ბრძოლის შემდეგ ეს პარტია ყაიმით დამთავრდა. გელერსა და მ. ბობოცოვს (ბულგარეთი) — 8-8 ქულა აქვთ. არაძირითად ტურნირში წინ არის უნგრელი ოსტატი ი. ფლეში. 15 წლის ი. ბალაშოვს (სსრ კავშირი) 4 ქულა აქვს 7-დან.*

◆ **მოსკოვი, 22 იანვარი.** დღეს რიო-დე-ჟანეიროს გაემგზავრა მოსკოვის „დინამოს" მეკარე ლ. იაშინი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ბრაზილიის ერთ-ერთი ცნობილი კლუბის „ფლამენგოს" 75 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში.

◆ *ჩიმბულაკი, 22 იანვარი.* დღეს აქ დაიწყო სსრ კავშირის უძლიერეს სამთო-მოთხილამურეთა შეჯიბრება ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე — „ვერცხლის ედელვეისზე". გაიმართა შეჯიბრება სწრაფდაშვებაში. ქალთა შორის გაიმარჯვა ა. არტიომენკომ, ვაჟებში — ე. მინეევმა.

◆ *მოსკოვი, 22 იანვარი.* *აქ ძალზე საინტერესოდ მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ფიგურულ მოციგურეთა საკავშირო შეჯიბრება, რომელიც ევროპის ჩემპიონატის წინ საბჭოთა სპორტსმენების გენერალურ რეპეტიციად გვევლინება. დღეს გამოვლინდნენ პირველი გამარჯვებულნი: 19 წლის ს. ჩეტვერტუხინი (ერთეულთა სრიალში) და ლენინგრადელთა ცნობილი წყვილი — ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი.*

155 : 57

კორაჩის 99 ქულა

კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეორე მერვედფინალური მატჩი ბელგრადის „ბეოგრადისა" და შვეციის „ალვიკის" ვაჟთა გუნდებს შორის სენსაციური ანგარიშით დამთავრდა — 155:57! მართალია, შვედების წარმატებაზე არავინ ფიქრობდა, მაგრამ იუგოსლაველთა ასეთი ანგარიშით გამარჯვება პირდაპირ წარმოუდგენელი იყო. აღსანიშნავია, რომ ყველაზე შედეგიანმა სპორტსმენმა — იუგოსლაველმა კორაჩმა თავის გუნდს 99 (!) ქულა შეძინა (გამარჯვება პირველ შეხვედრაშიც „ბეოგრადმა" მოიპოვა — 136 : 90).

ფურირემი... „ვოლგაში“

ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის მოხაზღვრე ახალციხის სატყეო მეურნეობის ტერიტორიიდან, სრესის ციხესთან, ტყიდან მდინარე მტკვრისკენ დამფრთხალი ფურირემი გამოვარდა. მდინარეში შესვლისას ირემი ყინულის ლოდებში ჩავარდა და კანცგამოლეული დაეცა. ამ დროს იგი შეამჩნიეს თბილისის მე-2 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის ავტობუსის მძღოლებმა რ. გორდაძემ და რ. მერაბოვმა, რომლებმაც ყინულოვანი მორევიდან ირმის გამოხსნა გადაწყვიტეს. მათ წამოეშველა ბაკურიანში „ვოლგით“ მიმავალი თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი ბ. სიჭინავა.

ფურირემი რის ვაი-ვაგლახით ამოიყვანეს მტკვრიდან და იგი ბ. სიჭინავამ თავის მანქანაში ჩასვა, ბორჯომში ჩამოიყვანა და აქ სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციას ჩააბარა.

ძალიან გაჭირდა მანქანიდან 150—160-კილოგრამიანი [illegible], რომელმაც გზაში დაისვენა, ჯანღონე აღიდგინა და ახლა პირდაპირ გაგიჟდა.

იმავე დღეს ნაკრძალის 8 მუშაკმა ფეხშებორკილი ირემი სატვირთო მანქანით გადაიყვანა ლიკანის ტყის მასივში და ფიჭვნარ-ნაძვნარ კორომში გაუშვა.

მ. მენაბდე,

ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის დირექტორი.

ფიზკულტურა და შრომა

პროფესორმა ვ. ბელინოვიჩმა და ა. კორობკოვმა ამას წინათ გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ფურცლებზე აღძრეს საწარმოო ტანვარჯიშთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხი. იგი ეხება, ასე ვთქვათ, საწარმოო ტანვარჯიშის სპეციალიზაციას იმ სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომლებშიც შრომობენ სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანები.

საწარმოო ტანვარჯიშმა უკვე ჰპოვა საყოველთაო აღიარება და მის დიდმნიშვნელოვან როლს შრომისნაყოფიერების ამაღლებაში, მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვაში მტკიცება აღარ ჭირდება. მაგრამ ამ ღონისძიების განვითარების პროცესში ჩვენ უკვე მივაღწიეთ ისეთ დონეს, როცა აღარ გვაკმაყოფილებს დღევანდელი მდგომარეობა. მართლაც, დღეისათვის საწარმოო ტანვარჯიშს პრაქტიკაში ვხვდებით თითქმის მხოლოდ ორი ფორმით: ე. წ. ჩამხედ ტანვარჯიშს და ფიზკულტურულ პაუზას, რაც სულ რაღაც 10 წუთს იკავებს. არსებითად კი საწარმოო ტანვარჯიში ჩვენ წარმოგვიდგენია ჯერ კიდევ აუთვისებელ, ყამირ სფეროდ, რომელიც უამრავ უმდიდრეს საშუალებას შეიცავს თითქმის ყველა სპეციალობის მომუშავეთა შრომისნაყოფიერების თვალსაჩინო ამაღლებისათვის, მუშაობის პროცესში ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ჯანმრთელობის დაცვისათვის.

აი, სწორედ ამ საკითხს ეხებიან პროფესორები ვ. ბელინოვიჩი და ა. კორობკოვი. ისინი მიიჩნევენ, რომ ახლა საწარმოო ტანვარჯიშის სფეროში უნდა გადაიჭრას პროფესიულ-გამოყენებითი ფიზიკური მომზადების ამოცანები. ეს ამოცანები კი ახლებურ მიდგომას მოითხოვს მეცნიერმუშაკთა და სპეციალისტთა მხრიდან. ამასთან, საჭიროა გაფართოვდეს საწარმოო ტანვარჯიშის ფარგლები და მან მოიცვას ის სპეციფიკური უბნებიც, რომლებიც დღემდე არ იყვნენ მოქცეული მის ორბიტაში სხვადასხვა შემზღუდველი პირობის გამოც.

ამ მიმართულებით გადადგმულია რამდენიმე პრაქტიკული, თუმცა, შესაძლოა, მოკრძალებული ნაბიჯიც. კერძოდ, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზაღზრდის კათედრამ დაამუშავა სტუდენტთა პროფესიულ-გამოყენებითი ფიზიკური მომზადების ორგანიზაცია. პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის ფიზაღზრდის ხელმძღვანელთა ინიციატივის საფუძველზე მოსწავლეთა მომავალი პროფესიების გათვალისწინებით შედგა ფიზაღზრდის განსხვავებული პროგრამები ცალკეული ჯგუფებისათვის.

ვ. ბელინოვიჩისა და ა. კორობკოვისათვის, როგორც ჩანს, ცნობილი არ არის ის ფაქტები, რომ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოში კარგა ხნით უფრო ადრე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები: კერძოდ, ეს ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც აისახა ამ 2-3 წლის წინ, როცა დაიწყო საწარმოო ტანვარჯიშის სპეციალური კომპლექსების ბეჭდვა ჩაის პლანტაციებში მომუშავეთათვის (ამ პროფესიულ-გამოყენებითი ვარჯიშების ავტორია საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი ა. დოკვაძე). სულ ახლახანს „ლელოში“ გამოქვეყნდა სხვა ასეთივე სპეციალური-გამოყენებითი ვარჯიშების კომპლექსი, რომელიც დამუშავებულია ტელეგრაფისტთა და მსგავსი პროფესიების მქონე მშრომელებისთვის მათი საქმიანობის სპეციფიკური პირობების გათვალისწინების საფუძველზე.

მაგრამ, ეს ყველაფერი, ცხადია, წვეთია ზღვაში. საჭიროება მოითხოვს საწარმოო ტანვარჯიშის განხრით შეიქმნას მთელი სისტემა პროფესიულ-გამოყენებითი ფიზიკური მომზადებისა, რომლის გადამწყვეტი, ცენტრალური პრობლემა იქნება „ფიზკულტურა და შრომა“.

პროფესორებს ვ. ბელინოვიჩსა და ა. კორობკოვს ჩამოყალიბებული აქვთ ამ პრობლემასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები:

1. იმ ხელსაწყოებთან და მანქანებთან მიმართებით მოძრაობათა კოორდინაციის დონის ამაღლება, რომლებთანაც ადამიანს საქმე ექნება ყოველდღიურ ცხოვრებაში, შრომაში.

2. რთული მოძრაობითი საქმიანობისთვის მომზადება სიმაღლოვან, არამყარი საყრდენის, მიწისქვეშა მუშაობის, ცვალებადი მდგომარეობის პირობებში.

3. ფიზიკურ ვარჯიშთა ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მუშაობის მაღალ ხარისხს დაძაბული გონებრივი შრომის, ინტენსიური ყურადღების და ა. შ. პირობებში.

4. ორგანიზმის სიმტკიცისა და წინააღმდეგობის უნარის გამომუშავება სხვადასხვა გარეშე მავნე ფაქტორის მიმართ (ვიბრაცია, რადიოგამოსხივება, მაღალი ან დაბალი ტემპერატურა და ა. შ.).

5. გამოყენებითი ფიზიკური მომზადების ეკონომიურად ყველაზე უფრო სარგებლიანი ფორმებისა და მეცადინეობის მიკვლევა.

6. საწარმოო ფიზკულტურის ისეთი ორგანიზაციული საფუძვლების დამუშავება, რომელიც უზრუნველყოფს განსაკუთრებულ ვითარებაში, შრომის განსაკუთრებულ რეჟიმში მომუშავე ადამიანების (ღამის ცვლები, ქიმიური საწარმოები და სხვ). ეფექტურ ჩაბმას მეცადინეობაში.

ბუნებრივია, პრობლემა — „ფიზკულტურა და შრომა“ მხოლოდ ამით არ ამოიწურება. მასთან დაკავშირებულია ბევრი სხვა ასპექტი და საკითხი.

ყოველივე ეს ჩვენ დიდ სახელმწიფოებრივ საქმედ მიგვაჩნია. და ყოველივე ეს მოითხოვს პრობლემისადმი ღრმა მეცნიერულ მიდგომას.

აქედან გამომდინარე, „ლელო“ საკითხს სვამს. რათა ზემოაღნიშნულ საქმიანობაში ფართოდ იქნას ჩაბმული საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მისი ყოველი მუშაკი; ფიზიკურ კულტურასთან და სპორტთან დაკავშირებული სხვა სპეციალისტებიც მედიცინის, ფიზიოლოგიის, ანატომიისა და სხვა სფეროებიდან. რედაქციას საჭიროდ მიაჩნია „ლელოს“ ფურცლებზე საგანგებო, ქმედითი, საქმიანი დისკუსიის გაშლა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ზემოაღნიშნული მეცნიერმუშაკები, სპეციალისტები, ფიზიკური კულტურის აქტივისტები.

სენსაცია ყინულზე

მოსკოვი, — 21 იანვარი. „დინამოს“ სტადიონზე მოსული, ბურთიანი ჰოკეის მრავალრიცხოვანი მოყვარული დიდი სენსაციის მოწმე გახდა: ადგილობრივმა დინამოელებმა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში სასტიკი დამარცხება იგემეს სვერდლოვსკის არმიელთაგან — 3:7. მიუხედავად ამისა, სატურნირო ცხრილის პირველი სტრიქონი კვლავ მოსკოვის „დინამოს“ უკავია — 25 ქულა 14 თამაშიდან. II ადგილზე არიან სვერდლოვსკელები — 24 ქულა 16 მატჩიდან. III ადგილი უჭირავს ხაბაროვსკის სკა-ს.

სურათზე: თბილისის ფეხსაცმელების გაერთიანება „ისნის“ მოთხილამურეები — მორიგ საწვრთნელ მეცადინეობაზე ბაკურიანში. საქართველოს ხაფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა ახლახან აქ დამთავრებულ ასპარეზობაში მათ I ადგილი დაიკავეს.

ფოტო ფ. კრიმსკისა.

ზღვის ღმერთი განრისხებულია

ზღვის ღმერთის პოსეიდონის კაბინეტში ტელეფონი აწკრიალდა.

— ა-ა-ა, შენ ხარ, ო, საყვარელო მეუღლევ, — თქვა პოსეიდონმა ყურმილში, — რა გნებავს, ამფიტრიტა?

— უკაცრავად, ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ მე არ გახლავარ ამფიტრიტა... მე სოხუმის „ლოკომოტივის“ ფიზკულტურის ინსტრუქტორი კარლო ზამბახიძე ვარ...

— რა გინდა, ჩემო კარლო? — გაუკვირდა პოსეიდონს.

— ენით უთქმელი, ყურით გაუგონარი ამბები ხდება, ზღვათა დიდებავ. თქვენს სამფლობელოში ანუ, როგორც მას უწოდებენ, წყლის სტიქიაში... აქ, შავი ზღვის ნაპირზე... თუმცა კეთილი ინებეთ და თქვენი ბედნიერი თვალებით ნახეთ, რა მდგომარეობაშია სოხუმის „ლოკომოტივის“ წყალხტომარდობის სადგური...

— ახლავე გავჩნდები მანდ, — თქვა ზღვათა მბრძანებელმა და ლივლივა წყალში ჩაიძირა.

...ზღვის ღმერთს ხმელეთზე გასვლა არ შეეძლო. ამიტომ კარლო ზამბახიძეს უბრძანა, რომ წყალხტომარდობის სადგურის სასტარტო კოშკურაზე ასულიყო და ხმელეთს მოცილებოდა. როგორც კი ზამბახიძემ ფეხი შედგა კოშკურაზე, დამპალი ფიცარი ჩატყდა და თავმჯდომარე პოსეიდონის სტიქიაში აღმოჩნდა.

— რა არის ეს?! — წარბები შეიკრა ღმერთმა. — ასეთ ბაზაზე ვარჯიშობენ ჩემი ხელქვეითი მოცურავეები?!. ადი ახლა სახტომ კოშკზე და იქიდან მელაპარაკე!

— ვერა, ზღვათა მბრძანებელო, ვერ შევძლებ. სახტომი კოშკი ისეთ ავარიულ მდგომარეობაშია, რომ თვით ზევსსაც გაუჭირდება ზედ ასვლა.

— მაშ, მოსაბრუნებელ კედელზე ადი, — ურჩია პოსეიდონმა.

— დამპალია. ჩატყდება და კვლავ ბანაობა მომიწევს ამ იანვარში...

—მაშ, რა არის მთელი? — მოთმინება დაეკარგა ღმერთს.

— კაპიტალური გასახდელები და გარდერობები, — უპასუხა სიცივისაგან აკანკალებულმა ზამბახიძემ.

— რა ეშმაკად გინდათ გასახდელები და გარდერობები, როცა წყალხტომარდობის სადგური არ გაგაჩნიათ?! — იკითხა პოსეიდონმა.

— ეს „ლოკომოტივის“ უფროსებს ჰკითხეთ, — თქვა თავმჯდომარემ. — მათ მიაჩნიათ, უძლეველო ღმერთო, რომ წყალში ხტომა გემის ანძიდან და მილიდანაც შეიძლება. ამიტომ არ იწუხებენ თავს. ამიტომ არ არემონტებენ ამ სადგურს, რომელიც ერთადერთია მთელს სოხუმში. ჩვენ კი, სოხუმელებს, გვთხოვენ: რაკი შავი ზღვა გაქვთ, მაგარ-მაგარი მოცურავეები, წყალბურთელები და პოსეიდონის სხვა ბიჭები მოგვეცითო.

— ვინ არის თქვენი „ლოკომოტივის“ ღმერთი? — დაინტერესდა პოსეიდონი.

— რკინიგზის სოხუმის ქვეგანყოფილების უფროსი გიორგი ლაითაძე, — უპასუხა ზამბახიძემ.

— ელვავ და მეხო! — ხელები აღაპყრო ზეცისკენ პოსეიდონმა, მაგრამ მყისვე დაუშვა, რადგან რკინიგზა ხმელეთის კომპეტენციაში შედის.

როცა კაბინეტში დაბრუნდა, პოსეიდონმა დიდხანს იფიქრა ამ დილემაზე და ყურმილი აიღო:

— ალო, აფხაზეთის საოლქო სპორტკავშირია?

— გახლავს, — უპასუხეს იქიდან.

— მომისმინეთ და დაიხსომეთ, — ბრძანა პოსეიდონმა: — თუ ლაითაძეს იმდენი ვაჟკაცობა არ გააჩნია, რომ ჩემს სამფლობელოში შემავალ ობიექტს მოუაროს, დაუყოვნებლივ მოიწვიეთ აფხაზეთის სპორტკავშირის პრეზიდიუმი და დაადგინეთ: ჩამოერთვას „ლოკომოტივს“ წყალხტომარდობის სადგური და სხვა, უფრო ღირსეულ ღმერთს გადაეცეს!

აფხაზეთის სპორტკავშირმა თანხმობა განუცხადა პოსეიდონს.

გ. შადური.

(ჩვენი სპეც. კორ.).

სოხუმი.

ზოგი რამ მოზარდთა

სპორტული სპეციალიზაცია ადრეულ ასაკში დღეისთვის საყოველთაოდ მიჩნეულია უმაღლეს სპორტულ მიღწევათა საფუძვლად და, ვფიქრობ, ზედმეტია ჩამოთვლა მათი სახელებისა, ვინც ჯერ კიდევ ადრე ასაკში შეძლო შესანიშნავი სპორტული შედეგების მოპოვება. ცხადია, ასეთი სპორტული სპეციალიზაცია ამართლებს დანიშნულებას.

ამასთან დაკავშირებით სკოლაში ფიზიკური აღზრდის ფორმა და მეთოდები ჩვენში ნაწილობრივ უნდა გადახალისდეს. თანრიგოსნობით გატაცება ხშირ შემთხვევაში ჩრდილავს მოზარდთა სწორ ფიზიკურ აღზრდას. თუ დააკვირდებით სკოლების სპორტულ დარბაზებს, აქ უმეტესად შენიშნავთ კალათბურთის ფარებს, ფრენბურთის ბადეს და უფრო ნაკლებად — ტანვარჯიშულ იარაღებს (იშვიათად თუ მთელი კომპლექტია), ისიც მხოლოდ ერთი ზომისას, ე. ი. რომლებიც მოზრდილებისთვისაა გათვალისწინებული.

ცნობილია, რომ ორძელზე ვარჯიშის შესრულების წინ ტანმოვარჯიშე ძელებს მოირგებს ხოლმე მხრების ზომის შესაბამისად და მით უმეტეს არაა დასაშვები ვავარჯიშოთ ბავშვი ორძელზე, რომლის სიგანე გაცილებით აღემატება მის ფიზიკურ შესაძლებლობებს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ვინაა გარანტირებული ტრავმისაგან?!

მახსოვს, ჯერ კიდევ 1911 წელს თბილისის ქართული გიმნაზიის სპორტულ დარბაზში იყო გიორგი ევნატაშვილის მიერ მოწყობილი ტანვარჯიშული იარაღების სრული კომპლექტი სამი ზომისა — მცირე, საშუალო და ნორმალური. ორძელს, ტაიჭს, ხარიხას, მაგიდას ეს შესანიშნავი პედაგოგი იყენებდა ბავშვის ასაკის შესაბამისად. მოზარდი ორგანიზმის ჯანმრთელობისა და სწორი ფიზიკური აღზრდისათვის უმეტესი გამოყენება ჰქონდა ტანვარჯიშულ კიბეს, დვირს, სკამებს, ლატანს, ბაგირს.

გ. ევნატაშვილი დიდი პედაგოგიური ოსტატობითა და გატაცებით ატარებდა მეცადინეობას „ცოცხალ იარაღებზე“, სადაც თვით ბავშვები წარმოადგენდნენ თავისებურ იარაღებს. სრულდებოდა ვარჯიშები სხვადასხვა კიდეა და ბჯენში, ხოლო შემდეგ მეცადინეობაზე იგივე ვარჯიშები გადაგჰქონდა დამხმარე იარაღებზე — ლატანზე, ბაგირზე, კიბეზე, დვირზე, სკამებზე და ბავშვთა ასაკისათვის შესაფერ მთავარ იარაღებზე.

სკოლის ექიმი ბალარჯიშვილი სისტემატურად ესწრებოდა ევნატაშვილის მეცადინეობას, სასწავლო წლის დასაწყისსა და დამთავრებისას ახდენდა მოსწავლეთა სამედიცინო შემოწმებას. ანთროპომეტრიაც ბალარჯიშვილმა შემოიღო და იმ დროისათვის ეს ჩვენში უცხო ხილი იყო. ვეება დავთარში თქვენ ნახავდით მოსწავლის ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობას, ვის პოლიპი ან ადენოიდები ემჩნეოდა, ხერხემლის კიფოზი, ლორდოზი თუ სქოლიოზი. აქვე იყო სიმაღლის, წონის, ფილტვების მოცულობისა და სხვა მონაცემების სრული სურათი.

შესაძლოა შემეკითხონ: რა ანსხვავებდა გ. ევნატაშვილს, როგორც პედაგოგს, სხვებისაგან? დიდი და უნარიანი გამოყენება ხსენებული დამხმარე იარაღებისა, რომლებითაც მრავალ მიზანს აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლები ბრიტანეთის კუნძულზე

ნ. გაფრინდაშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ახალი წლის წინადღეს შედგა IV ტური. ჩემი მეტოქე — ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტი, 20 წლის პეტერ ლი ინგლისში პერსპექტიულ მოჭადრაკედაა აღიარებული. მას ერთხელ ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონატშიც უთამაშია და რუმინელ ფ. გეორგიუსთან II—III ადგილები გაუყვია. ლი საკმაოდ გამოცდილი ოსტატია.

ბრძოლა დავიწყეთ სიცილიური დაცვით. ლიმ დრაკონის ვარიანტს მიმართა, რომელიც თავიდანვე მწვავე თამაშს წარმოშობს. ჩვეულებრივ, მე სიამოვნებით ვთამაშობ ამ ვარიანტის წინააღმდეგ და ისეთი წარმოდგენა მაქვს, რომ თეთრებმა უეჭველად უნდა მოიგონ.

გაფრინდაშვილი — ლი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 g6 6. კe3 კg7 7. f3 0—0 8. ლd2 მc6 9. კc4 კd7 10. 0—0—0 ეc8 11. კb3 მe5 12. h4 ლa5 13. h5 (პაიკის შეწირვით იერიშისთვის) 13. ... მ:h5 14. კh6 კ:h6 15. ლ:h6 ე:c3 (ეტლის სტანდარტული შეწირვა, რომელიც ასუსტებს თეთრი მეფის პოზიციას) 16. bc ლ:c3 17. მფb1 (შეიძლებოდა აგრეთვე 17. მe2 მd3+ 18. ე:d3 ლa1+ 19. მფd2 ლ:h1 20. g4 მg3 21. ლ:h1 მ:h1 22. მფe3 და მხედარი დაჭერილია) 17. ... მc4 18. კ:c4 ლ:c4

19. ე:h5 (ხარისხის უკან დაბრუნებით თეთრები მოსაგებ პოზიციას ღებულობენ) 19. ... gh 20. ლg5+ მფh8 21. ლ:e7 ლc8 22. ლf6+ მფg8 23. ლg5+ მფh8 24. ლ:h5 ეg8 (კონტრთამაშის მიღებისთვის ლი მზადაა პაიკიც კი დათმოს, მაგრამ მიზანს ვერ აღწევს) 25. ლ:f7 ლd8 26. g4 ეg7 27. ლf4 ეg6 28. მb3 ლe7 29. ლe3 კb5 30. c4 (30. ლ:a7 კe2 შავებს რაღაც იმედებს აძლევდა) 30. ... კa6 (თუ 30. ... კ:c4, მაშინ 31. ლd4+) 31. ეd5 b6 32. ლd4+ მფg8 33. e5 კb7 (33. ... de 34. ე:e5 ლი მალე აგებდა) 34. ე:d6 ე:d6 35. ed ლd7 36. ლf6 კa6 37. c5 bc 38. ლg5+ მფf8 39. ლ:c5 მფe8 40. ლe5+ მფd8 41. ლa5+ შავები დანებდნენ.

საღამოს ყველანი ერთად შევხვდით ახალ, 1965 წელს და ერთმანეთს წარმატებები და ჯანმრთელობა ვუსურვეთ. მე აფრიკიდანაც კი მომივიდა ახალი წლის მოსალოცი დეპეშა. მას მიგზავნიდა... თბილისელი ექიმი თ. ფერაძე, რომელიც 1963 წელს ინგლისში გავიცანი...

1 იანვარს, V ტურში შევხვდი შუახნის ინგლისელ ოსტატ დენის მარდლს. მისი ძალა არ ვიცოდი, ამიტომ თავიდანვე ვფხიზლობდი.

მარდლი—გაფრინდაშვილი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. d4 cd 4. მ:d4 e6 5. კe3 მf6 6. მd2 (ამ ორიგინალური სვლის შემდეგ შავები უცებ ათანაბრებენ თამაშს) 6. ... e5 7. მ:c6 dc 8. f3 კe7 9. კc4 0—0 10. 0—0 მh5 11. მb3 კg5 12. კc5 ლf6 (ხარისხის დათმობით ვფიქრობდი ინიციატივის ხელში ჩაგდებას. რასაკვირველია, მარდლს „საჩუქარზე“ უარი უნდა ეთქვა. 13. f4 შემდეგ საინტერესო თამაში გამოდიოდა) 13. კ:f8 კe3+ 14. მფh1 (ამ პოზიციაში შევხედე ჩემს მეტოქეს. იგი მშვიდად იჯდა და ვერ ხედავდა, რომ მატი გარდუვალი ჰქონდა) 14. ... მg3+

აქ მარდლმა გაიღიმა. დაინახა, რომ 15. hg ლh6× შემდეგ შამათი იყო და დამნებდა.

მოუსვენარი კაცია ფლორიან გეორგიუ. საჭადრაკო ბრძოლაშიც მუდამ აქტიურ გაგრძელებათა ძიებაშია. ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა როგორც მოჭადრაკე. მახსოვს 16 წლის ფლორიანის თამაში, რომელიც 1961 წელს ბუქარესტში გავიცანი. სწრაფი მოსაზრება, თავის თავში დაჯერებულობა და დებიუტების საუცხოო ცოდნა. ნიჭიერ რუმინელს ბავშვობიდან გამოჰყვა სვლების ხმაურით გაკეთება. ახლაც, ბრძოლაში გართული გეორგიუს თამაში მთელ დარბაზს ესმოდა. ვცადე მისი „აღზრდა“, ვუთხარი — ეს როგორ გეკადრება-მეთქი... დამეთანხმა, მაგრამ ცაიტნოტში დაპირება ავიწყდებოდა და „ახმაურდებოდა“ ხოლმე.

ჩვენს პარტიაში, რომელიც VI ტურში გაიმართა, კარო-კანის დაცვა გათამაშდა. უკვე დასაწყისში გეორგიუმ გამოიყენა ნაკლებად ცნობილი გაგრძელება და უპირატესობა მიიღო. ჩემი მეფე უროქოდ დარჩა. შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, პარტია წავაგე.

ამ დროს ტურნირს წყვილად ლიდერობდნენ კერესი და გლიგორიჩი. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ოსტატთა „ჩახრამუნებაში“. ორივეს გამარჯვება წყუროდა. გლიგორიჩი ფინიშთან ხუთჯერ მისულა პირველი (ორჯერ სხვასთან ერთად), კერესი კი — ორჯერ (ერთხელ ვ. სმისლოვთან ერთად). ამიტომ ისინი ყველასთვის ძალიან სახიფათო მეტოქენი იყვნენ. მორიგ ტურში სწორედ კერესთან მიწევდა თამაში.

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 14.

„ლელო“ პასუხ...

● **შეკითხვა:** სპორტის რომელი სახეობაა აღიარებული № 1 სპორტად მსოფლიოში, საბჭოთა კავშირსა და ინგლისში?

ა. ხარაზიშვილი, რ. აჩბა

რუსთავი.

პასუხი: სპორტის ასეთი კლასიფიკაცია არსად არ ხდება. მძლეოსნობა ყველგან, მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე, „სპორტის დედოფლად“ ითვლება. ასეა საბჭოთა კავშირშიც და ინგლისშიც. პოპულარობის მიხედვით კი მას შეიძლება კონკურენციას სპორტის სხვა სახეობები უწევენ, მაგრამ ეს სპორტისმოყვარულთა სუბიექტურ შეხედულებებზეა დამოკიდებული.

● **შეკითხვა:** როგორია მსოფლიო რეკორდები ველოსპორტში ცალკე მოყვარულთათვის და ცალკე პროფესიონალებისთვის?

ა. გუნია, სპორტის ოსტატი.

თბილისი.

პასუხი:

მოყვარულები

სვლით	ღია ტრეკზე	დახურულ ტრეკზე
200 მ	გაიარდონი (იტ.) — 11,0	ბეგეტო, ბიანკეტო, გაიარდონი, პეტენელა (ყველანი — იტალიიდან) — 11,4
500 მ	ლოგუნოვი (სსრკ) — 29,4	პეზენტი (იტ.) — 29,4
1 კმ	ტომაზელი (იტ.) — 1.03,4	გასნერი (შვეიც.) — 1.04,2
ადგილიდან		
1 კმ	გაიარდონი (იტ.) — 1.07,27	სერკიუ (ბელგ.) — **1.06,76**
5 კმ	კონსტანტინო (იტ.) — 6.13,4	ალტიგი (გფრ) — 6.10,2
10 კმ	ბალდინი (იტ.) — 12.37,6	სიმიჩი (ავსტრალ.) — 12.52,2
20 კმ	ბალდინი (იტ.) — 25.20,0	რიუეგი (შვეიც.) — 26.15,2
საათიანი	ბალდინი (იტ.) — 46,393 კმ	რიუეგი (შვეიც.) — 45,587 კმ
4 კმ (გუნდ.)	იტალია — 4.28,88	

პროფესიონალები

სვლით	ღია ტრეკზე	დახურულ ტრეკზე
200 მ	მასპესი (იტ.) — **10,8**	პლატნერი (შვეიც.) — 10,9
500 მ	მორეტინი (იტ.) — 29,8	პლატნერი (შვეიც.) — **28,6**
1 კმ	მორეტინი (იტ.) — 1.02,6	ბიურენი (შვეიც.) — **1.01,6**
ადგილიდან		
1 კმ	ჰარისი (ინგ.) — 1.08,6	ჰარისი (ინგ.) — 1.06,8
5 კმ	ფაჯინი (იტ.) — **6.02,4**	ბრაკე (ბელგ.) — 6.05,13
10 კმ	რივიერი (საფ.) — **12.22,8**	რივიერი (საფრ.) — 12.26,8
20 კმ	რივიერი (საფ.) — **24.50,6**	რიუეგი (შვეიც.) — 25.24,6
საათიანი	რივიერი (საფ.) — **47,346 კმ**	რიუეგი (შვეიც.) — 46,819 კმ

შავი შრიფტით გამოყოფილი შედეგები მსოფლიოს აბსოლუტური რეკორდებია (ტრეკის მიუხედავად).

პირველი აკორდი

სოჭი. მრავალი მაყურებელი მიიზიდა ამხანაგურმა მატჩმა ფეხბურთში ადგილობრივ გუნდებს — „დინამოსა“ და ნაკრებს შორის.

საინტერესოა, რომ „დინამოს“ შემადგენლობაში გამოდიოდა სოჭში დასასვენებლად მყოფი სსრ კავშირის ნაკრების რამდენიმე წევრი: ს. მეტრეველი, ი. ჩისლენკო, ვ. გლოტოვი და ე. მუდრიკი. ეს იყო შავიზღვისპირეთის საფეხბურთო სეზონის პირველი აკორდი.

თამაში დამთავრდა დინამოელთა სასარგებლოდ — 4 : 3.

დ. თორაძე.

ჭადრაკი

დარჩა 3 ტური

კიევი, 22 იანვარი. საკავშირო ჩემპიონატის ბოლომდე 3 ტური დარჩა. ფინიშზე ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა, რაც ერთხელ კიდევ დაადასტურა გადადებულ პარტიებში გუშინ გამართულმა „ჭიდილმა“. ყურადღების ცენტრში იყო კორჩნოი—ტალის შეხვედრა, რომელიც 93-ე სვლაზე ლენინგრადელის გამარჯვებით დამთავრდა. სამაგიეროდ, ტალმა „უშრომლად“ მოაგროვა 2,5 ქულა: თამაშის განუახლებლად მას დანებდნენ სახაროვი და ბაკულინი, ხოლო ლეინი ყაიმზე შეუთანხმდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონს.

შამკოვიჩმა მოუგო ვასიუკოვს. ავერბახ—ხოლმოვის, სახაროვ—ლუტიკოვისა და შტეინ—ბაკულინის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

სახაროვ — შტეინის შეხვედრა კვლავ გადაიდო.

დღეს გათამაშდა ტალ — ბანიკის გამოტოვებული პარტია. იგი ყაიმით დამთავრდა.

დასკვნითი 3 ტურის წინ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: კორჩნოი—12,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. ბრონშტეინი—11,5, ტალი და შამკოვიჩი — 10,5 თვითეულს.

ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ

3 გოლი — 3 წუთში

აქ მოყვანილი ფოტოსურათი საბჭოთა ფეხბურთის ისტორიას ეკუთვნის. მასზე აღბეჭდილია თამაშის კულმინაციური მომენტი: კარში გატანილი ბურთი.

მაგრამ საქმე მხოლოდ ამაში როდია. გოლიც არის და გოლიც!

ფეხბურთის სტატისტიკოსები ეძებენ საინტერესო ამბებს, კურიოზებს, ეძებენ სხვადასხვა ფაქტს, ციფრებს, ადარებენ მათ ერთმანეთს, გამოაქვთ დასკვნები... ჩვენ უკვე ვიცით, თუ ვინ როდის იყო საუკეთესო ბომბარდირი, ვინ აიღო ყველაზე მეტი პენალტი, ვინ გაიტანა ყველაზე მეტი ბურთი ერთ თამაშში და ა. შ.

ჩვენ ვიცით ისიც, თუ რომელმა ფეხბურთელმა გაიტანა ყველაზე მეტი ბურთი დროის უმცირეს მონაკვეთში. ფეხბურთის ეს თავისებური რეკორდი, ეჭვს გარეშეა, ეკუთვნის წარსული წლების გამოჩენილ საბჭოთა ფორვარდს, მოსკოვის „დინამოს“ მარცხენა გარემარბს სერგეი სოლოვიოვს.

ვისაც უნახავს ს. სოლოვიოვის თამაში, ახსოვს ეს „ტანკის“ ტიპის, ბობოქარი ტემპერამენტის, საშინელი დარტყმებისა და უდიდესი სისწრაფის თავდამსხმელი. მისი გარღვევები სახიფათო იყო ყველა მოწინააღმდეგისთვის. საკმარისი იყო ს. სოლოვიოვის გამოჩენა საჯარიმო მოედანზე, რომ მცველებიც და მეკარეც საგანგებო ზომებს მიმართავდნენ, რათა ეხსნათ კარი გოლის რეალური ხიფათისაგან. მაგრამ ეს არც ისე იოლი გახლდათ.

ს. სოლოვიოვი 1948 წლის საკავშირო ჩემპიონატის პირველი ბომბარდირი იყო. მაშინ ტურნირში მონაწილეობდა 14 გუნდი და ამ წლის შეხვედრებში სერგეიმ გაიტანა 25 ბურთი.

სწორედ ამ წელს დაამყარა ს. სოლოვიოვმა რეკორდი, რომელიც დღემდე უცვლელია საკავშირო ჩემპიონატებში. I წრის მატჩი მოსკოვის „ტორპედოსთან“ დინამოელებმა დიდი ანგარიშით (7:0) მოიგეს და ამ შეხვედრაში ს. სოლოვიოვმა ზედიზედ 3 ბურთი გაიტანა... 3 წუთის განმავლობაში. თითო ბურთი თითო წუთში! ეს მართლაც რეკორდია ისეთი მასშტაბის ოფიციალური მატჩებისთვის, როგორიცაა სსრ კავშირის ჩემპიონატი.



აქ გამოქვეყნებულ სურათზე, რომელიც 1948 წელსაა გადაღებული ე. გუტგარცის მიერ, აღბეჭდილია სწორედ ის მომენტი, როცა ს. სოლოვიოვმა მესამე ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში. ტორპედოელთა მეკარე ვ. ლეკსოვსკი ერთობ უხალისოდ უყურებს თავის მრისხანე მეტოქეს, რომელსაც თვითონვე გამოაქვს ბადიდან საკუთრივ გატანილი ბურთი.

ფიზიკურ აღზრდაზე

წევდა. ხსენებული იარაღებისთვის მას დაუშრეტელი მასალა ჰქონდა, რომელსაც უნარიანად, საინტერესოდ იყენებდა ასაკის, სქესისა და ფიზიკური მომზადების შესაბამისად. მეტსაც ვიტყვით: გ. ეგნატაშვილი ოსტატ ტანმოვარჯიშეებსაც არ ამეცადინებდა დამხმარე იარაღების გარეშე. ეს ტრადიცია ჩვენში კარგა ხანს არსებობდა.

მაგრამ ის ლტოლვა, რაც ადრე იყო მიმართული დამხმარე იარაღებისკენ, დროთა განმავლობაში სუსტდებოდა და ბოლოს დავიწყებასაც მიეცა. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ამ სასარგებლო და საჭირო იარაღების ნაკლებობა სკოლებში.

აქ წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით სპორტულმა ფაბრიკებმა უნდა ითავონ და დაამზადონ სამი ზომის მთავარი ტანვარჯიშული იარაღები (ორძელი, ტაიჭი, ხარიხა.) აქ ორი აზრი არც უნდა არსებობდეს. თუ დღეს სპორტულ სპეციალიზაციას დიდი გამოყენება აქვს ადრეული ასაკის სპორტსმენთათვის, დამაჯერებლად უნდა მივიჩნიოთ მათი წვრთნა და ვარჯიში მხოლოდ შესაბამისი ზომის იარაღებზე. მოზარდებს უნდა მივაწოდოთ ის, რაც მათ სჭირდებათ და რაც მათი ასაკისათვის შესაფერისია.

თავისი კონსტრუქციის მიხედვით, დასახელებულ იარაღებზე შესაძლებელია ვარჯიშების შესრულება ჯგუფურად და ინდივიდუალურადაც, რითაც მომეცადინეთა შორის ვაღწევთ დიდ აქტივიზაციას. ამ მდიდარი ვარჯიშების არსენალიდან შერჩევით შეგვიძლია მათ მივაწოდოთ მასალა როგორც გამასწორებელ-გამაჯანსაღებელი, აგრეთვე საერთო ფიზიკური მომზადების მიზნებისთვისაც.

საჭიროდ მიგვაჩნია გაკვეთილის შესავალი ნაწილისათვის (სამწყობრო ვარჯიშები) სხვადასხვა ხერხით სიარული ფეხის ტერფების სხვადასხვა ნაწილზე (ცერებზე, ქუსლებზე, ტერფებით შიგნით, ცერებით გარეთ და სხვ.).

თუ მეცადინეობის ტრაფარეტს ხშირად არ მივმართავთ, ფრიად საჭიროდ მიგვაჩნია ფართოდ გამოვიყენოთ მოძრავი თამაშობანი, ცხადია, ესეც ასაკისა და საერთო ფიზიკური მომზადების შესაბამისად, ვინაიდან უფროსკლასელთათვის ძალზე გამოსაყენებელი იქნებოდა სპორტთამაშობანი. დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ქალაქგარეთ გასეირნება-ექსკურსიებსაც და აუცილებელი არაა ასეთი ლაშქრობანი მოეწყოს მხოლოდ გამოსასვლელ დღეებში. სასწავლო დღის დამთავრების შემდეგაც შეიძლება ამ სასარგებლო ღონისძიებათა ჩატარება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზაღზრდის მასწავლებლის საქმიან კონტაქტს სკოლის ექიმთან, მით უმეტეს, რომ სამედიცინო პერსონალს ახლა გაცილებით უფრო მეტი ესმის ფიზიკური აღზრდისა, ვიდრე ადრე.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია თბილისის ყველა რაიონში ჩამოყალიბდეს სკოლების ფიზიკური აღზრდის ურთიერთდამხმარე კომისიები, რომლებიც არა კონტროლის ფუნქციებით, არამედ მეგობრული დახმარების სახით პერიოდულად ეწვევიან სკოლას და საერთო ძალებით იბრძოლებენ მოზარდთა სწორი ფიზიკური აღზრდისათვის. ამაში ხელმძღვანელ, მაორგანიზებელ ძალად მიგვაჩნია განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტი და რაიონების განათლების განყოფილებები.

ა. კაიშაური.

საერთაშორისო ფოსტიდან

უმუშევრად, უფულოდ...

როცა იგი გამარჯვებულის კვარცხლბეკიდან ჩამოვიდა, სახეზე ბედნიერი ღიმილი უკრთოდა. აქ — ტოკიოში აღსრულდა მისი დიდი ხნის ოცნება: ზანგმა ჭაბუკმა ჯო ფრეზერმა მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედალი. რეპორტიორებმა რკალი შემოარტყეს მას და აჩქარებით მიაყარეს შეკითხვები: ხომ უხარია, რომ შეერთებულ შტატებში გამარჯვებული ბრუნდება? როგორია მისი შემდგომი გეგმები?..

„ძალიან მინდოდა ახლა მომავალზე არ მეფიქრა — უთხრა ჟურნალისტებს ოლიმპიადის ჩემპიონმა. — ჩემი ოჯახი ხუთი სულისგან შედგება და დანაზოგი გროშებიც კი არ გაგვაჩნია შავი დღისთვის. და ვაი თუ ეს შავი დღე მალე დაგვიდგეს. მაშინ მომიხდება ჩემთვის ყველაზე ძვირფასის — სპორტის დავიწყებაც კი".

ჯო ფრეზერი მისანი გამოდგა. მისთვის შავი დღე გაცილებით უფრო ადრე დადგა, ვიდრე იგი ფიქრობდა. ყველაფერი დაიწყო მაშინ, როცა ტოკიოდან ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმავალ მოკრივეს ძალიან ატკივდა მარცხენა ხელის თითი. იგი ოლიმპიადაზე ერთ-ერთი შეხვედრის დროს დაუშავდა და ახლა ისე შეაწუხა, რომ ჯო იძულებული გახდა თითი შეეხვია. ნიუ-იორკის აეროდრომზე აღფრთოვანებული მიღების მეორე დღეს ჯომ ჯიბეში ჩაიდო 10-დოლარიანი ასიგნაცია და საკონსულტაციოდ ექიმს ეწვია. ექიმმა უთხრა, რომ თითი მოტეხილი ჰქონდა და ურჩია, რომ თუ მას სურდა შეენარჩუნებინა ხელი სპორტისა და მუშაობისთვის, საავადმყოფოში დაწოლილიყო. ფრეზერიც ასე მოიქცა. მაგრამ სანამ იგი საავადმყოფოში იწვა, სამუშაოდან დაითხოვეს. „ჩვენ ფეხებზე გვკიდია მისი ოლიმპიური ჩემპიონობა. სულ ერთია, მან ხომ რაღაც უნდა გააკეთოს", — განუცხადა ფრეზერის მეუღლეს უფროსმა. ამასობაში მოკრივის მკურნალობაზე დიდძალი ფული წავიდა და ფრეზერის ოჯახი ყელამდე ვალში ჩავარდა.

როცა მოკრივე საავადმყოფოდან გამოვიდა, მას არც სამუშაო ჰქონდა და არც ფული. ოჯახს არავითარი საარსებო სახსარი არ ჰქონდა, თანაც ფრეზერს ექიმებმა მხოლოდ თებერვლიდან მისცეს ფიზიკური შრომის უფლება.

ამაოდ ცდილობდა მოკრივე ამ მდგომარეობიდან თავის დაძვრენას. და მაშინ მეგობრებმა დაარწმუნეს, რომ დათანხმებულიყო ე. წ. „ჯოს გადარჩენის აქციაზე". იგი შემდეგში გამოიხატებოდა: სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ჩავარდნილი ფრეზერის შემხედვარე მეგობრებმა ამერიკის კრივის მოყვარულებს თხოვეს შეძლებისდაგვარად დახმარებოდნენ ჩემპიონს. გულშემატკივრები მოწოდებას გამოეხმაურენ.

„ამჟამად იმ ფულით ვარსებობ, რომელსაც ჩემი მეგობრები მიგზავნიან,— ამბობს ჯო ფრეზერი. — ამ თანხით სული გვიდგას, მაგრამ საავადმყოფოს დიდი ვალი რომ მადევს?! თან არ ვიცი, ვიშოვნი თუ არა თებერვალში სამუშაოს. ღმერთმა იცის საიდან მექნება ვალის გასასტუმრებელი ფული. სხვა მდგომარეობაში ვიყო, ცხადია, დიდი ხანია პროფესიონალი გავხდებოდი — ოღონდ ექიმები გამასტუმრებინა და ოჯახშიც სათანადო თანხა შემეტანა. ახლა კი აბა ვინ ამიყვანს დაშავებული ხელით! ოლიმპიური მედალი ძვირად რომ გაიყიდებოდეს, ნაღდად გავყიდდი. მაგრამ ოლიმპიური ოქრო მხოლოდ დიდებაა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა მუდამ ლუკმაპურის შოვნაზე უნდა იფიქროს".

ფრეზერის ამბავი გამონაკლისი არ არის. ამერიკულმა ჟურნალმა „ბოქსმეგეზინმა" მკითხველებს ამას წინათ აუწყა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არის უწინ სახელგანთქმული ასობით მოკრივე, რომლებსაც არავითარი საარსებო საშუალება არა აქვთ. „მათ შორის, — წერს ჟურნალი, — არიან ქვეყნის ექს-ჩემპიონები, ერთი მსოფლიოს ექს-ჩემპიონიც კი, რომელიც ამჟამად ფეხსაცმლის მწმენდელია და მადლობას იხდის რამდენიმე ცენტს რომ გადაუგდებენ". მათ დახმარებაზე არავინ ფიქრობს. აშშ-ის მოკრივეთა კავშირს უბრალოდ ფული არა აქვს, მთავრობას კი ეს საკითხი ოდნავადაც არ აღელვებს. „ჩვენი ქვეყანა ძალიან მალე ივიწყებს თავის ამასწინანდელ გმირებს", — წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი".

ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი ჯო ფრეზერი უკვე დარწმუნდა ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში.

ა. გურკოვი.

- დონ შოლანდერზე ძალზე სხვადასხვაგვარ მასალას ბეჭდავენ დასავლეთის პრესაში. ვინაიდან ოლიმპიური ჩემპიონის გვარი მეტად ევროპულად ჟღერს, ერთ-ერთი ინტერვიუს დროს სპორტსმენს წარმოშობის სადაურობას შეეკითხნენ.

  — ჩვენ შვეციიდან ვართ, — მიუგო დონმა. — პაპაჩემის მამა შეერთებულ შტატებში იქიდან გადმოსახლდა. თქვენ, რა თქმა უნდა, არ იცნობდით მას, მაგრამ იგი იყო ცურვის ჩემი პირველი მასწავლებელი და 2 წლის წინათ გარდაიცვალა — 107 წლის ასაკში.

  და რა გასაკვირია, რომ შოლანდერი ასეთი ჯანსაღი და მაგარი ვაჟკაცია!

- მოზამბიკში ფეხბურთელთა ერთ-ერთი მატჩის დროს ბურთი მოხვდა კარის ძელს, რომელიც შუაზე გადატყდა და მთელი კარი ჩამოვარდა. მსაჯი იძულებული გახდა თამაში შეეწყვიტა. აქტში მან ჩაწერა: „თამაში გადაიდო, რადგან კარის ძელი ტერმიტებმა შეჭამეს". ძელი მართლაც ტერმიტების მიერ სულ ერთიანად დაღრღნილი და გამოფიტული აღმოჩნდა.

- ბელგიაში არსებობს ერთი მეტად მკაცრი საზოგადოება: „კარგი მორბენლების კლუბი", რომლის წესდების 25 გვერდი უკავია კლუბის წევრებისთვის აკრძალული მოქმედების პუნქტებს. კლუბს სულ ოთხი წევრი ჰყავს — 800 მ რბენაში მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი როჟე მოენსი, ოლიმპიური პრიზიორები გასტონ რაიფი და გასტონ როლანი და ევროპის 1962 წლის ჩემპიონი მარათონულ რბენაში აურელი ვანდენდრიშე. ბელგიელ მორბენლებში ზემოჩამოთვლილ სპორტსმენთა განთქმული სახელებიც კი ვერ ბადებენ კლუბის წევრად გახდომის სურვილს.



ეს სურათი ოლიმპიადის გახსნამდე მცირე ხნით ადრეა გადაღებული. საპარადო ტანსაცმელში გამოწყობილი საბჭოთა ოლიმპიელები თამაშების გახსნის ალლუმში გამოსასვლელად სათადარიგო მოედანზე შეგროვდნენ.

ამ სპორტსმენებმა (მარცხნიდან მარჯვნივ) — ტყვიით მსროლელმა ა. უდაჩინმა, ძიუდოისტმა ა. კიკნაძემ, მძლეოსანმა ნ. კარასიოვმა და ძიუდოისტმა ფ. ჩიკვილაძემ სამახსოვრო სურათიც კი გადაიღეს...

ფოტო სპორტის დამსახურებულ ოსტატ შ. ქვლიაშვილისა.

ოლიმპიურ ასპარეზობაზე ყველაფერია მოსალოდნელი. საქვეყნოდ აღიარებულმა სპორტსმენმა შეიძლება სენსაციური მარცხი განიცადოს, ან ყველასთვის უცნობმა მოიპოვოს ტრიუმფალური გამარჯვება. შუბის მტყორცნელ ქალთა შეჯიბრების დამსწრენი ორი ასეთი სენსაციის მოწმენი გახდნენ. საკლასიფიკაციო ასპარეზობაში ჯერ საბჭოთა მძლეოსანმა ე. გორჩაკოვამ დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი (62,40 მეტრი), ხოლო შემდეგ, ფინალში, 17 წლის რუმინელმა მ. პენეშმა ოქროს მედალი მოიპოვა. რუმინელ გოგონას დასკვნით ასპარეზობაში მართალია, მსოფლიო რეკორდი არ დაუმყარებია, მაგრამ მისი შედეგი — 60,54 მ — სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა.

სურათებზე: მარცხნივ — პენეში შუბის ტყორცნის დროს; მარჯვნივ — რუმინელი სპორტსმენი გამარჯვების შემდეგ.

ფოტო ჟურნალ „სპორტოვეციდან" (პოლონეთი).

▲ **ბელგრადი.** წყალბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მონაწილენი (სულ 15 გუნდი) დაყოფილი არიან ორ ჯგუფად. სსრ კავშირის წყალბურთელები მოხვდნენ II ჯგუფში. მათთან ერთად არიან: შვეციის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და ჰოლანდიის სპორტსმენები. აღნიშნული ჯგუფის მატჩები გაიმართება შვეციაში, ხოლო ფინალი — გენუაში 9-12 აპრილს.

▲ **პარიზი.** ცნობილმა ფრანგმა ველოსიპედისტმა ჟ. ანკეტილმა ამას წინათ მონაწილეობა მიიღო მოთხილამურეთა შეჯიბრებაში და წარმატებითაც: ველოსიპედისტმა I ადგილი მოიპოვა სლალომისტთა ასპარეზობაში.

▲ **მარსელი.** მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოცურავე ქალი, ფრანგი კ. კარონი გულმოდგინედ ემზადება ვაჟთა შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის. მას მამაკაცებთან პაექრობა განზრახული აქვს 1500 მეტრზე.

▲ **ნიუ-იორკი.** ამერიკის შეერთებულ შტატებში ამას წინათ დაბრუნდა მსოფლიოს პირველ სპორტსმენად აღიარებული, ტოკიოს ოლიმპიადის 4-გზის ჩემპიონი ცურვაში დონ შოლანდერი. ევროპაში ყოფნისას მან მიიღო სხვადასხვა ქვეყნის სპორტულ ორგანიზაციათა ჯილდოები.

▲ **ლიონი** ცნობილი სამთო მოთხილამურეების ქ. და მ. გოიშელების უმცროსი და პატრიცია, რომელიც ასევე შესანიშნავი მოთხილამურეა, მოეწყო სტიუარდესად „ერ ფრანსის" ავიოკომპანიაში პარიზ — ლონდონის ხაზზე. სპორტსმენის განცხადებით, მას ინგლისური ენის შესწავლა სურს და სწორედ ამ მიზანს ემსახურება მისი ეს ახალი გატაცება.

▲ **ავსტრიის** სამთო კურორტ შრუნსში მიმდინარეობს სამთო-მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრება — „ოქროს გასალები". ორი სახეობის შემდეგ ქალებში ლიდერობს მარიელ გოიშელი (საფრანგეთი), რომელმაც საოცარი ოსტატობით ჩაიქროლა სპეციალური სლალომის მოყინულ ტრასაზე.

ლიდერია „პანათინაიკოსი"

საბერძნეთის 1964-65 წლების საფეხბურთო ჩემპიონატში პირველი წრე დასასრულს უახლოვდება.

მე-12 ტურის შედეგები ასეთია: აეკ — „პანათინაიკოსი" 2:2, „პანიონიოსი" — „პროდევტიკი" 2:0, „ეთნიკოსი" — „აპოლონი" (ათენი) 1:3, „აიგონი" — „დოქსა" 2:2, „ნიკი" — „აპოლონი" (სალონიკი) 0:1, „ტრიკალა" — „პიერიკოსი" 1:1.

მე-13 ტური: „პანათინაიკოსი"— „ოლიმპიაკოსი" 1:1, „პანიონიოსი"—„პაოკი" 1:1, „ეთნიკოსი" — „არისი" 2:2, „ნიკი" — აეკ 0:0, „პროდევტიკი"—„აპოლონი" (ათენი) 2:1, „პიერიკოსი" — „ჰერაკლისი" 1:0, „ტრიკალა" — „პან-ეგიალიოსი" 1:1, „აპოლონი" (სალონიკი) — „დოქსა" 4:1.

13 ტურის შემდეგ 32 ქულით ლიდერობს „პანათინაიკოსი" (საბერძნეთის ჩემპიონატში 1 მოგებისთვის გუნდს 3 ქულა ეწერება), რომელსაც ცნობილი იუგოსლაველი მწვრთნელი ს. ბობეკი უდგას სათავეში. აეკ-ს 30 ქულა აქვს, „ოლიმპიაკოსსა" და „პროდევტიკს" — 29-29.

ევროპაში უძლიერესნი

ფრანგული სპორტული გაზეთი „ეკიპი" სხვადასხვა კლასიფიკაციის დიდი მოყვარულია. „ლელომ" ამას წინათ გამოაქვეყნა „ეკიპის" აზრი მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებზე, ფეხბურთელთა უძლიერეს გუნდებზე, აგრეთვე კალათბურთსა და ტანვარჯიშში ევროპის წამყვანი ქვეყნების კლასიფიკაციაზე. დღეს ვაქვეყნებთ გაზეთის აზრს ევროპის უძლიერეს ქვეყნებზე პროფესიულ კრივში. აი, როგორ განაწილდნენ ქვეყნები (სიძლიერის მიხედვით): 1. იტალია, 2. დიდი ბრიტანეთი, 3. საფრანგეთი, 4. ესპანეთი, 5. შვეცია, 6. ბელგია, 7. იუგოსლავია, 8. შვეიცარია, 9. უნგრეთი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირი, ჭადრაკის რესპუბლიკური ფედერაცია და გაზეთ „ლელოს" რედაქციის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებენ სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ვახტანგ ქარსელაძეს მამის

ილარიონ ბაგრატის ძე ქარსელაძის

გარდაცვალების გამო.

თბილისის სპორტულ არენებზე

ხელბურთი. სპორტის სასახლე. 23-24 იანვარი. სამატჩო შეხვედრა „ბურევესტნიკი" (თბილისი)—მაი (მოსკოვი). დასაწყისი 19 ს.

კალათბურთი. ლენინის სახელობის დარბაზი. 23 იანვარი. სსრ კავშირის „ბ" კლასში გადასასვლელი შერჩევითი შეჯიბრება. დასაწყისი 18 ს.

ძალოსნობა. უნივერსიტეტის სპორტთამაშობათა დარბაზი. 23-24 იანვარი. საქართველოს პირად-გუნდური შეჯიბრება სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდებს შორის. დასაწყისი 17 ს.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.